



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი

<p>„დამტკიცებულია“</p> <p>რექტორი პროფ. გიორგი ღავთაძე</p> <p>აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 8 21 დეკემბერი 2011 წელი</p>	<p>„დამტკიცებულია“</p> <p>დეკანი ასოც. პროფ. აკაკი ბაკურაძე</p> <p>ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი № 9 20 დეკემბერი 2011 წელი</p>
--	---

სამაგისტრო პროგრამა

„ტურიზმი“

ქუთაისი

2011

1. **პროგრამის დასახელება:** ტურიზმი

2. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმში

Master of Business Administration (MBA) in Tourism

3. **პროგრამის ხელმძღვანელი:** ასოც. პროფესორი იზოლდა ხასაია,

საკონტაქტო ინფორმაცია: 599 111 501, 577 243374, 22 00 86 ; e-mail: khasaia_izolda@yahoo.com,
tourismpd@yahoo.com

4. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 ECTS კრედიტი–70 ECTS კრედიტი სპეციალობის სავალდებულო კურსები, 15 ECTS კრედიტი– სპეციალობის არჩევითი კურსები, 5 ECTS კრედიტი –პროფესიული პრაქტიკა, 30 ECTS კრედიტი–სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა.

5. **სწავლების ენა:** ქართული

6. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

პროგრამის მიზანია ტურიზმში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელიც თეორიული ცოდნის საფუძველზე დაუფლებული იქნება საქართველოს ტურისტული პოტენციალის კვლევის მეთოდებს. გაცნობიერებული იქნება ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის ბუნებრივი რესურსების დაცვისა და შენარჩუნების მნიშვნელობა, ქვეყნის ტურისტულ–რეკრეაციული რესურსების პოტენციალი, შეეძლება ამ კუთხით ტურისტული ინფრასტრუქტურის დაგეგმვა და მართვა, შესაძლო საფრთხეების დანახვა და მათი აღმოფხვრის გზების დასახვა.

პროგრამა იძლევა ტურიზმის მიმართულებით ცოდნას, რომელიც ეფუძნება და აღრმავებს საბაკალავრო პროგრამით მიღებულ განათლებას და უზრუნველყოფს ახალი იდეის ორიგინალური განვითარების შესაძლებლობას, მეცნიერულ კვლევაზე დამყარებული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელებას.

კურსდამთავრებული აღჭურვილი იქნება საჭირო ცოდნითა და უნარებით ტურისტულ ინდუსტრიაში წარმატებული კარიერისათვის და შეეძლება დაიკავოს მთელი რიგი მმართველობითი პოზიციები ტურისტულ ორგანიზაციებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, იმუშაოს საგანმანათლებლო სფეროში, მონაწილეობა მიიღოს ტურიზმის სახელმწიფო დაგეგმვასა და განვითარების პოლიტიკის განსაზღვრაში, შექმნას და მართოს საკუთარი ბიზნესი.

7. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** კომპეტენციების წინასწარი იდენტიფიცირება -ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის სერტიფიკატი და საუნივერსიტეტო მაპროფილზელი გამოცდის წარმატებით ჩაბარება.

8. **სწავლის შედეგი**

ტურიზმში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაცია ენიჭება სტუდენტს, რომელსაც გააჩნია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული სწავლების მეორე საფეხურზე მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაბამისი დონე.

კურსდამთავრებული შეძლებს:

ცოდნა/გაცნობიერება:

▪ განსაზღვროს და აღწეროს საქართველოს ტურისტული პოტენციალი, დეტალურად ჩამოაყალიბოს ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები ახალი ტურისტული პროდუქტის - ეკო-, აგრო-, კულტურული და საკურორტო ტურების დაგეგმვისა და ორგანიზაციის თავისებურებების გათვალისწინებით;

▪ გააცნობიეროს საქართველოში ტურისტული ბიზნესის განვითარების თავისებურებების, ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკა, დღევანდელ მსოფლიოში ტურიზმის დაგეგმვის მნიშვნელობა, ტურიზმის დაგეგმვის სპეციფიკური თავისებურებები, გეგმის და სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, შესრულება და კონტროლი;

▪ თანამედროვე კონკურენტულ გარემოში, გადაწყვეტილებების მიღებაში პროგნოზირებასა და ეკონომიკური და ბიზნეს რისკების ანალიზსთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას;

▪ შექმნას და მართოს კონკურენტუნარიანი ტურისტული ბიზნესი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

- თანამედროვე ტურისტული ბაზრის მოთხოვნების, ბაზრის სწორი მეცნიერული კვლევებისა და სტრატეგიული ხედვის საფუძველზე შექმნას და აწარმოოს მიმზიდველი ტურისტული პროდუქტი;

- ახალი ტურისტული პროდუქტის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში ტურიზმის საერთაშორისო გამოცდილებისა და ინოვაციური მიდგომების მისადაგებას ქვეყნის მდგრადი განვითარების სახელმწიფო პოლიტიკასთან;

- მეცნიერული კვლევების შედეგების დამუშავება თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, არსებული სიტუაციების შეფასებას, სხვადასხვა ეკონომიკურ მაჩვენებელთა შორის კავშირის დანახვას, მათი მოდელირებას, გავლენის მქონე ფაქტორების შერჩევას;

- შექმნილი ცოდნის საფუძველზე, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზისა და პროგნოზირების გამოყენებას, ბიზნესის ეკონომიკური ეფექტიანობის ასამაღლებლად კვლევის მეთოდის დაგეგმვას, საბაზრო რისკის შეფასებას;

- კვლევითი სამუშაოს შესრულებას დამოუკიდებლად წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების მიხედვით;

დასკვნის უნარი:

- თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ტურისტული ბაზრის საკუთარი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებისა და სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებით მოპოვებული ინფორმაციის შეჯერებისა და გაანალიზების საფუძველზე ლოგიკური დასკვნის ჩამოყალიბებას;

- მეცნიერული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებას;

კომუნიკაციის უნარი:

- თავისი ნაშრომის/ჩატარებული კვლევის შედეგების და დასკვნების საჯარო წარმოდგენა, დასაბუთებასა და დაცვას ზეპირი და წერილობითი სახით მშობლიურ და უცხოურ ენებზე, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან;

- კავშირის დამყარებას ტურისტული ინდუსტრიის წარმომადგენლებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ თანამშრომლობის მიზნით;

- სამუშაო ჯგუფში როგორც რიგითი წევრის, ასევე ლიდერის როლის შესრულებას, კრიტიკის კორექტულად გამოთქმასა და მიღებას;

სწავლის უნარი:

- სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვას და სწორად დაგეგმვას საკუთარი ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, შექმნილი ცოდნისა და დაუფლებული უნარების ობიექტურად და კრიტიკულად შეფასება-შეჯამებასა და მისი გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრას;

- რეგულარულად უზრუნველყოს ცოდნის განახლება ტრენინგებითა და დარგობრივი ლიტერატურის კითხვით;

- დამოუკიდებლად გაიფართოვოს ცოდნის არიალის საზღვრები; აიმაღლოს კვლევაში დახელოვნების ხარისხი და გაიზარდოს ინტერესი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურა) ათვისებაზე;

ღირებულებები:

- პროფესიული პასუხისმგებლობისა და მენეჯერული ეთიკის ნორმების, სამეცნიერო და პროფესიულ საქმიანობაში აკადემიური პატიოსნებისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვას;

- საკუთარი და სხვისი კულტურისა და ტრადიციების პატივისცემას და ზრუნვას მისი დაცვისა და შენარჩუნებისათვის;

- გააცნობიეროს გლობალური ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების აქტუალობა და გაითვალისწინოს კვლევითი მუშაობის წარმართვის პროცესში;

- დროის დაგეგმვასა და ორგანიზაციას, გუნდურ მუშაობას და თანამშრომლობას

9. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

• საკონტაქტო:

✓ **ლექცია** - სტუდენტებისადმი სისტემატურად და თანმიმდევრულად სასწავლო მასალის გადაცემა, განსახილველი თემის ან რაიმე პრობლემის ახსნა-განმარტება. იგი აქტიურია, როცა იღებს დიალოგის სახეს, ხოლო პასიურია მონოლოგის სახის დროს.

✓ **სამუშაო ჯგუფში მუშაობა** - სტუდენტების მიერ ერთობლივი ან ინდივიდუალური მცდელობა წინასწარ მიცემული საკითხის, თემის, პრობლემის და ა.შ. შესახებ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია. მიზანშეწონილია გაუგებარი და ძნელად გასაგები საკითხების განმეორებით განხილვა;

საკონტაქტო ფორმის დროს გამოიყენება სწავლების ისეთი ხერხები, როგორცაა: საქმიანი თამაშები; ვერბალური ანუ ზეპირი მეთოდი; დისკუსია/დებატები; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; შემთხვევის ანალიზის; გონებრივი იერიშის ;დემონსტრირების; ინდუქციური; დედუქციური ; ანალიზის; სინთეზის; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პრეზენტაცია.

• **სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა** - სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობაა ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და ფინალური გამოცდების მომზადებისათვის.

• **პროფესიული პრაქტიკა** - სასწავლო მეცადინეობის სახე, რომლის პროცესში სტუდენტები პრაქტიკის ხელმძღვანელის მითითებით დამოუკიდებლად ასრულებენ განსაზღვრული პროგრამით გათვალისწინებულ საწარმოო დავალებებს მომქმედ ორგანიზაციაში (აწსუ პედაგოგიური და პროფესიული პრაქტიკის სამსახურთან შეთანხმებით) და შეიძენენ ბიზნესის ადმინისტრირების პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, პროფესიულ ცოდნასა და სიახლეებს.

• **სამაგისტრო ნაშრომი** - სტუდენტის ანგარიშია არჩეული კონკრეტული საკითხის, ან პრობლემის შესწავლის და გადაჭრის მიზნით. იგი განსაზღვრული დამოუკიდებელი კვლევის შედეგია საგნობრივ-პროფესიულ სფეროში, რომელშიც სტუდენტი წარმოაჩენს კვლევის საგნის შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონეს და დასახული ამოცანების გადაჭრის უნარს.

10. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასება სწავლისა და სწავლების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ორ ძირითად მიზანს ემსახურება:

- სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და მისი სწავლისათვის ხელშეწყობა;
- სწავლების კონკრეტული მეთოდიკის და სასწავლო პროგრამების ეფექტიანობის შემოწმება და სრულყოფა.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 (05.01.2007) და №785 (21.09.2009) ბრძანებებითა და აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2009 წლის 30 ოქტომბრის №12 (09/10) დადგენილებით განსაზღვრული პრინციპებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის ათვისების მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს.

კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება 51 და მეტია

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- 91-100 ქულა- ნიშანი A (ფრიადი)
- 81-90 ქულა - ნიშანი B (ძალიან კარგი)
- 71-80 ქულა - ნიშანი C (კარგი)
- 61-70 ქულა - ნიშანი D (დამაკმაყოფილებელი)
- 51-60 ქულა - ნიშანი E (საკმარისი)

ბ) ორი უარყოფითი შეფასება:

- 41-50 ქულა - ნიშანი FX (ვერ ჩააბარა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და უფლება აქვს დამოუკიდებელი მუშაობის შედეგად დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლით უფლება.
- 40 და ნაკლები ქულა - ნიშანი F (ჩაიჭრა), რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება სასწავლო კურსების სილაბუსით.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება: აღწერილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ „სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისა და შესრულების გზამკვლევაში“

11. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები პროგრამას ემსახურება სხვადასხვა მიმართულების აკადემიური პერსონალი და მოწვეული აკადემიური დოქტორები (სრული პროფესორი –1, ასოცირებული პროფესორი– 8, მოწვეული აკადემიური დოქტორი– 5):

№	სახელი, გვარი	აკადემიური თანამდებობა	საკონტაქტო ინფორმაცია
1.	იმერი ბასილაძე	სრ. პროფესორი	599247240, i.basiladze@mail.ru
2.	აკაკი ბაკურაძე	ასოც. პროფესორი	597201530, ak.bakuradze@gmail.com
3.	იზოლდა ხასაია	ასოც. პროფესორი	599 111 501, khasaia_izolda@yahoo.com
4.	შოთა ლომინაშვილი	ასოც. პროფესორი	593192031,shota2009@mail.ru
5.	სერგო ცაგარეიშვილი	ასოც. პროფესორი	593327878,sergo5215@mail.ru
6.	აკაკი ნაცყიდაშვილი	ასოც. პროფესორი	577447661
7.	ელისო გველესიანი	ასოც. პროფესორი	577444842, elisog77@gmail.com
8.	მზია კუბეცია	ასოც. პროფესორი	577444854,kord57@inbox.ru
9.	ირმა გრძელიძე	ასოც. პროფესორი	599772620,igrdzelidze@yahoo.com
10.	ნანა შარაბიძე	აკადემიური დოქტორი	593744648, nano64@mail.ru
11.	ნუნუ ქიქოძე	აკადემიური დოქტორი	595580162,nukri29@rambler.ru
12.	გურამი უფლისაშვილი	აკადემიური დოქტორი	599252379, gurami_1972@yahoo.com
13.	იაგორ ბალანჩივაძე	აკადემიური დოქტორი	577466316,ibalanchin@gmail.com
14.	ზაური სერაფოვი	აკადემიური დოქტორი	599283560, zauri-se@rambler.ru
15.	ავთანდილი ხაჭაპურიძე	მასწავლებელი	599239011

12. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები

აწსუ-ს კორპუსები, კეთილმოწყობილი აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები; ეკონომიკისა და ტურიზმის დეპარტამენტში არსებული სალიტერატურო ფონდი , უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრის აუდიტორიები,ჭავჭავაძის №21 სასწავლო კორპუსში განთავსებული კომპიუტერული 4 კლასი, ტურიზმის კაბინეტი და არსებული ტექნიკა (მათ შორის. საპროექციო აპარატურა), სამედიცინო პუნქტი, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, პანდუსები (ინკლუზივი სტუდენტებისათვის), და ა.შ.

13. სასწავლო გეგმა

პროგრამის დასახელება: ტურიზმი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმში

№	კურსის დასახელება	კრ*	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში			ლ/პ/ჯგ	სემესტრი			
			სულ	საკ	დამ		I	II	III	IV
I. სპეციალობის სავალდებულო კურსები										
1.1	მეცნიერული კვლევის მეთოდები	5	125	36	89	1/0/2	x			
1.2	აგროტურიზმი	5	125	36	89	1/0/2	x			
1.3	რეკრეალოგია და კურორტოლოგია	5	125	36	89	1/0/2	x			
1.4	ეკოლოგიური ტურიზმი	5	125	36	89	1/0/2	x			
1.5	კულტურული ტურიზმი	5	125	36	89	1/0/2	x			
1.6	უმადლესი სკოლის დიდაქტიკა	5	125	45	80	2/0/1		x		
1.7	გადაწყვეტილებათა მიღების რაოდენობრივი მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში	5	125	45	80	1/0/2		x		
1.8	ფინანსური მენეჯმენტი ტურიზმში	5	125	45	80	1/0/2		x		
1.9	სპეციალურ ღონისძიებათა მენეჯმენტი	5	125	45	80	0/0/3		x		
1.10	დაზღვევა და უსაფრთხოება ტურიზმში	5	125	45	80	1/0/2			x	
1.11	ტურისტული ფირმის ეკონომიკური პოლიტიკა	5	125	45	80	1/0/2			x	
1.12	ტურიზმის ეროვნული და რეგიონული დაგეგმვა	5	125	45	80	1/0/2			x	
1.13	ინოვაციები ტურიზმში	5	125	45	80	1/0/2			x	
1.14	საერთაშორისო ტურიზმი	5	125	45	80	1/0/2				x
1.15	პროფესიული პრაქტიკა* **	5	125	72	53					x
1.16	სამაგისტრო ნაშრომი* **	30	750	40	710			x	x	x
<i>სულ</i>		105	2625	687	1928	-				
II. სპეციალობის არჩევითი კურსები***										
2.1	არჩევითი კურსი 1									
	1.ბიზნეს უცხო ენა 1 (ინგლისური)	5	125	60	65	0/0/5	x			
	2.მსოფლიო ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	5	125	36	89	1/0/2	x			
	3.კარსტოლოგია და სპელეოტურიზმი	5	125	36	89	1/0/2	x			
2.2	არჩევითი კურსი 2									
	1.ბიზნეს უცხო ენა 2(ინგლისური)	5	125	75	80	0/0/5		x		

	2.ორგანიზაციის თეორია	5	125	45	80	1/0/2		x	
	3.ინტერნეტ-ტექნოლოგიები ტურიზმში	5	125	45	80	1/0/2		x	
	4.მეტა ეკონომიკა	5	125	45	80	2/0/1		x	
2.3	არჩევითი კურსი 3								
	1.საქმიანი ურთიერთობები	5	125	45	80	1/0/2			x
	2. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა	5	125	45	80	1/0/2			x
	3.საქართველოს დაცული ტერიტორიები	5	125	45	80	1/0/2			x
	<i>სულ</i>	15	375		160				
	<i>სულ, პროგრამით</i>	120	3000						

*გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: კრ. - კრედიტი, საკ - საკონტაქტო, დამ - დამოუკიდებელი მუშაობა; ლ/პ/ჯგ - ლექცია/პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა.

** სტუდენტი IV სემესტრში გაივლის პროფესიულ პრაქტიკას (5 კრედიტი. დატვირთვის მოცულობა სთ.-ში - სკ.-72 სთ. და დამ.- 53 სთ.).

***„სამაგისტრო ნაშრომი“ – II სემესტრში შეადგენს 5 კრედიტს (სკ.-15 სთ. და დამ.- 115 სთ.), III სემესტრში შეადგენს 5 კრედიტს (სკ.-15 სთ. და დამ.- 115 სთ.), ხოლო IV სემესტრში - 20 კრედიტს (სკ.-30 სთ. და დამ.- 480სთ.).

****ყოველი არჩევითი კურსიდან სტუდენტი ირჩევს მხოლოდ ერთ საგანს; I სემესტრში „ბიზნეს უცხო ენა 1 (ინგლისური)“-ის არჩევის შემთხვევაში სტუდენტი ავტომატურად აგრძელებს II სემესტრში „ბიზნეს უცხო ენა 2(ინგლისური)“-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია აითვისოს სხვა ორი კურსი, შესაბამის სემესტრებში.

კომპეტენციათა მატრიცა

№	კურსის დასახელება	კომპეტენციები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1. სპეციალობის სავალდებულო კურსები							
1.1	მეცნიერული კვლევის მეთოდები	x	x	x		x	
1.2	აგროტურიზმი	x	x	x			x
1.3	რეკრეალოგია და კურორტოლოგია	x		x	x		x
1.4	ეკოლოგიური ტურიზმი	x	x	x	x		x
1.5	კულტურული ტურიზმი	x	x	x	x	x	
1.6	უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა	x	x				
1.7	გადაწყვეტილებათა მიღების რაოდენობრივი მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში	x	x	x	x	x	x
1.8	ფინანსური მენეჯმენტი ტურიზმში	x	x		x	x	
1.9	სპეციალურ ღონისძიებათა მენეჯმენტი		x		x		x
1.10	დაზღვევა და უსაფრთხოება ტურიზმში	x	x	x	x		x
1.11	ტურისტული ფირმის ეკონომიკური პოლიტიკა	x	x	x	x		
1.12	ტურიზმის ეროვნული და რეგიონული დაგეგმვა	x	x	x			x
1.13	ინოვაციები ტურიზმში	x	x	x			
1.14	საერთაშორისო ტურიზმი	x			x		x
1.15	პროფესიული პრაქტიკა	x	x	x	x	x	x
1.16	სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა	x	x	x	x	x	x
2. სპეციალობის არჩევითი კურსები							
2.1	1.ბიზნეს უცხო ენა 1 (ინგლისური)	x	x		x		
	2.მსოფლიო ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	x	x				
	3.კარსტოლოგია და სპელეოტურიზმი	x	x		x		x
2.2	1.ბიზნეს უცხო ენა 2(ინგლისური)	x	x		x		
	2.ორგანიზაციის თეორია	x	x	x	x		
	3.ინტერნეტ-ტექნოლოგიები ტურიზმში	x	x	x	x	x	
	4.მეტა ეკონომიკა	x		x		x	x
2.3	1.საქმიანი ურთიერთობები	x			x	x	x
	2.რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა	x	x	x	x		
	3.საქართველოს დაცული ტერიტორიები	x	x				